

ენა და ენათმეცნიერება

**„ქართული ლექსიკონი“, ანუ „სიტყვის კონა“ - ქართული  
ლექსიკოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ძეგლი**

**ლეილა აბზიანიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი, საქართველო  
leila.abzianidze@atsu.edu.ge

სტატიაში გაანალიზებულია გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლი - „ქართული ლექსიკონი“, წარმოჩენილია ლექსიკონის აგების პრინციპები, თავისებურებები და სხვა სპეციფიკური საკითხები. ყურადღებაა გამახვილებული იმ ასპექტებზე, რომლებიც დღემდე უნარჩუნებს მას აქტუალობას და არამხოლოდ ქართული ლექსიკოგრაფიის მნიშვნელოვან ძეგლად აქცევს, არამედ განსაკუთრებულ ადგილს უმკვიდრებს ქართული კულტურის ისტორიაში.

**საკვანძო სიტყვები:** ლექსიკოგრაფია, ლექსიკონი, გრამატიკა, ლინგვისტიკა, ქართული ენა.

სულხან-საბა ორბელიანი თავისი დროისათვის შესანიშნავად მომზადებული და განათლებული პირი მრავალფეროვნად და ღრმად განსწავლული საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე გახლდათ. იგი მშობლების ორივე მხრიდან ქართველი არისტოკრატიის უძლიერეს და უმაღლეს წრეს ენკუთვნოდა. სულხანის მამა ვახტანგ ყაფლანის ძე ორბელიშვილი (ორბელიანი) ქართლის სამეფოს მოსამართლეხუცესი ქართლის მეფეების ახლო ნათესავი იყო, ხოლო დედა თამარი არაგვის ერისთავის ზაალის ასული.

გამოჩენილი ქართველი მწერლის სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა მდიდარი და მრავალფეროვანია. მის კალამს ეკუთვნის მემუარული ჟანრის ნაწარმოები „მოგზაურობა ევროპაში“, ქართული მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი ბრწყინვალე შედეგური „სიბრძნე სიცრუისა“, რომელიც საბამ 1698 წელს დაწერა, ვახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან თარგმნილი „ქილილა და დამანას“ ახალი რედაქცია, ქართული ენის ფასდაუდებელი საუნჯე „ქართული ლექსიკონი“. ანუ „სიტყვის კონა“ და საეკლესიო სასულიერო შინაარსის თხზულებანი „სწავლანი“ და „სამოთხის კარი“, ქართული სალიტერატურო

ენის განვითარების ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის ნაწარმოებებს, რომლებშიც სულხან-საბამ მკვეთრად გამოავლინა თავისი დამოკიდებულება სალიტერატურო ენისადმი (კეკელიძე 1966: 446-455, 480-484).

„ქართულილექსიკონი“ მის სხვანაწარმოებთა გვერდით მნიშვნელოვანი განძია, რაც გვიანდერძა დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ და მწერალმა. სულხანი სახელმწიფო საქმიანობასთან ერთად დიდ დროს ანდომებდა წმინდა ლიტერატურულ და ლინგვისტიკურ ფილოლოგიურ მუშაობას. მას უწერია როგორც საერო, ისე სასულიერო ხასიათის თხზულებანი, მეცნიერული ხასიათის შრომებიც, იგი XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე დიდი განათლების მქონე ენციკლოპედისტად გვევლინება.

სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ ხანგრძლივი და ღრმა მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგია. „მე, სულხან-საბა ორბელიანს, – გვამცნობს ავტორი, – ჭაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა“ (ორბელიანი 1949: 10). „39 წელი იმუშავა მან ლექსიკონის შედგენაზე, – წერს აკად ვ. თოფურია, – დაიწყო 27-28 წლის ასაკისამ (1658 წელს) და სიკვდილამდე (1725 წლამდე) თავს დასტრიალებდა. ლექსიკონი მისი განუყრელი თანამგზავრი იყო. მასთან ერთად შემოიარა საქართველო, ირანი, ევროპა (საფრანგეთი, იტალია) და თურქეთი. იგი ყველგან და ყველა ვითარებაში იხვეწებოდა“ (ვარლამ თოფურია, სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის მნიშვნელობისათვის. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1959, №10, 59-68).

ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი კულტურული ტრადიციები, უმაღლესი მხატვრული და სამეცნიერო ფილოსოფიური ლიტერატურის განვითარების უმაღლესი დონე ლოგიკურად გვაფიქრებინებს, რომ ქართველებს ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანამდე გაცილებით უფრო ადრე უნდა ჰქონოდათ თავიანთი ლექსიკონი. თვით საბას მოწმობითაც „ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებათა უჩინო ქმინილიყო“ (ორბელიანი 1949: 10).

„ქართული ლექსიკონი“ მეტად მნიშვნელოვანი შრომაა. როგორც სათაურიდან ჩანს, ეს შრომა წარმოადგენს ქართული სიტყვების (ან ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებული უცხო სიტყვების) ახსნა-განმარტებას ქართულადვე. ორბელიანის ლექსიკონი ერთ-ერთი გამართული და სრული ლექსიკონია, რომლითაც დღემდე სარგებლობს ყოველი კულტურული ქართველი. ის შეიცავს 20 ათასზე მეტ სიტყვას. სიტყვის განმარტება და ახსნა ხშირად დასაბუთებულია რომელიმე ცნობილი ნაწარმოების სათანადო ადგილით. განსაკუთრებით დამოწმებულია ძველი და ახალი აღთქმის წიგნებით.

ლექსიკონის შედგენისას საბას უხვად უსარგებლია უცხო ენების

## ლ. აბზიანიძე

---

ლექსიკონებით, შეუკრებია ისინი ერთმანეთთან და მხოლოდ ამის საფუძველზე გაუკეთებია „ქართული ლექსიკონი“.

„ქართულ ლექსიკონს“ სულხან-საბა ორბელიანის სამეცნიერო-ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს, თანამედროვენი დიდი მოწონებითა და ქებით იხსენებენ „სიტყვის კონას“, რომლსაც აღუფრთოვანებია არაერთი გადამწერი და მკითხველი. ეს შეფასებები შემონახულია ლექსიკონის გადაწერილ ნუსხებზე. სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალგზის არის ხაზგასმული და მითითებული ამ ლექსიკონის ფასდაუდებელი მნიშვნელობა როგორც ქართულ ლექსიკოგრაფიაში, ისე, საერთოდ, ქართული მეცნიერებისა და კულტურის ისტორიაში.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ შოთა რუსთაველის პოემა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ შედგენილი ლექსიკონი ძველი ქართული კულტურის უდიდესი მიღწევაა.

„ქართულ ლექსიკონში“ ხშირადაა მითითებული, თუ რომელი ენისაა სიტყვა და რა შეესატყვისება მას ქართულში, რათა უკანასკნელი ვიხმაროთ, მაგ. „ტაბარდ სპარსთა ენაა, ნაჯახს ჰქვიან“ (ორბელიანი 1949: 333), „ტიკვი სომხურია, ქართულად თხიერი ჰქვიან“ (ორბელიანი 1949: 336), „ქარავანი ესე ქარავანი არაბთა ენაა, ჟამთა ვითარებით შემოღებული, ქართულად მოგზაური ეწოდების“ (ორბელიანი 1949: 366).

ლექსიკონს დართული აქვს მოხელეთა და სხვათა აღმნიშვნელი ქართული სახელები, რომელთა ნაცვლად არაბულ-სპარსულ-თურქული და სხვა სიტყვები იყო გაბატონებული. მაგ.: ბაყალი–მეხილე (ორბელიანი 1949: 577); დაჰბაში –ათისთავი (ორბელიანი 1949: 577); დივანბეგი – მსაჯული (ორბელიანი 1949: 577); ჯანიშინი – გამგებელი (ორბელიანი 1949: 578).

ლექსიკონში მითითებულია, თუ როგორ გაირჩეს ერთმანეთისაგან გარეგნულად ასე თუ ისე მსგავსი სიტყვები. მაგ.: „კარქი რიგია სომხურად და ჩვენს მწერლებს ზოგან გაუსინჯაობით კარქის ნაცვლად კარგი დაუწერია. კარგი კეთილს ჰქვიან, ხოლო კარქი – რიგსა“ (ორბელიანი 1949: 161).

ლექსიკონის ავტორი მოითხოვს, რომ სიტყვა სწორად იხმარებოდეს: „გულის-ხმა ასე არს გონებით ახმა და გულთა შეღება. ვიეთთა გულის – ჰმად აღუწერიათ“ (ორბელიანი 1949: 80), „სუნნელი მრავალთა სულნელად აღუწერიათ არამედ არა ეწოდების სულნელი, არამედ სუნნელი“ (ორბელიანი 1949: 329).

ლექსიკონში მოყვანილია სინონიმები ან ნაჩვენებია სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება, მაგ. „მეკრვა. შეკვრა არს ჯაჭვითა და საბლითა შებორკილვა და შესკვნა; მეკვრა არს წიგნის შეკინძვა, ყვავილთ შეკონვა“

(ორბელიანი 1949: 410).

ლექსიკონში შეტანილია გვაროვნულ ცნებათა სახელწოდებანი, რათა სახეობათ ცნებათა სახელები ესწავლათ და ჯეროვნად გამოეყენებინათ. მაგ. „კაცი ... ზოგად ყოველთა ეწოდების. ესე კაცი განიყოფების მამაცად და დიაცად, რომელ არს მამაკაცი და დედაკაცი, რამეთუ რა მამაცსა დიაცი მოეთხოვოს ეწოდების მამაცსა ქმარი და დიაცსა ცოლი, ხოლო შობილთა მათთა შვილი“ (ორბელიანი 1949: 163).

ქართული ენის შესწავლისა და დაცვის მიზნითვე არის შეტანილი „ქართულ ლექსიკონში“ ზოგიერთი გრამატიკული ტერმინიც.

თავისი ძირითადი არსით სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ განმარტებითი ლექსიკონია, მაგრამ ავტორმა მას ენციკლოპედიური ლექსიკონის ელემენტები შესძინა.

„სიტყვის კონაში“ განმარტებულია მრავალი ტერმინი მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან, მათ შორის გრამატიკიდანაც.

სპეციალურ, ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საბას ლექსიკონით იწყება აღორძინების პერიოდის ქართული გრამატიკული კვლევა-ძიების ისტორია.

სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“ წარმოდგენილი გრამატიკული ტერმინების შესწავლას, ვფიქრობთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც ამ გზით ქართული ენის გრამატიკის ისტორიის შესწავლა ხდება.

გრამატიკული ტერმინები ამოკრებილია ლექსიკონის შესავალი ნაწილიდან ან თვით ლექსიკონში შეტანილი განსამართავი სიტყვებიდან და მათი ახსნა-განმარტებებიდან უნდა შევნიშნოთ, რომ, მართალია, ზოგიერთი ტერმინის შინაარსი სცილდება გრამატიკის ფარგლებს, დღევანდელი თვალსაზრისით, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ენათმეცნიერების დარგის საბასდროინდელ გაგებას, ვფიქრობთ, ეს რაიმე არსებით უხერხულობას არ უნდა ქმნიდეს.

განსახილველი ტერმინები ქვემოთ დალაგებულია ანბანის რიგზე (გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა).

ანბანი – ეს ტერმინი დასტურდება ლექსიკონის შესავალ ნაწილში: ანბანი პირველად სასწავლო ყრმათანი“, „მეორედ სწავლება ანბანის“ (ორბელიანი 1949: 3).

ასო – სულხან-საბას განმარტებით, „ასო ეწოდების მორცულთა წიგნისათა“, ხოლო მარცჳალი ესე არს... წერილთა ასონი“. „წერილი ეწოდების ყოველთა კალამთაგან აღწერილსა, გინა ბეჭდისა ტვიფართა“, „ასოთა დასხმითა აღმოიკითხვის სიტყვა და სიტყვათაგან შეიქმნების წიგნი“ (ორბელიანი 1949: 33).

## ლ. აბზიანიძე

ამ განმარტებიდან ჩანს, რომ სულხან-საბა ლექსიკონშიც „ასო“ ტერმინს იგივე შინაარსი აქვს, რა შინაარსითაც იგი ამჟამად იხმარება.

ბგერათა კლასიფიკაციის დროს (წარმოთქმის ადგილის მიხედვით) გამოყენებულია შემდეგი ტერმინები: ბაგეთა; ბმპუ; ენის მწვერვალთა; დზოტლნრსტცძწ; ხმოვნის აღსანიშნავად ნახმარია ტერმინი ჯმონანი, ხოლო თანხმოვნისა უჯხმო (ორბელიანი 1949: 8-9).

ამათ გარდა, ბგერათა საკლასიფიკაციოდ გამოყენებულია სხვა ტერმინებიც: ზომიერი, მაგარი, მაღალი, მდაბალი, მეტი ნაკლები, ნანარი, ჩვილი (ორბელიანი 1949: 8-9), მაგრამ რას მიიჩნევს ძირითად საკლასიფიკაციო ნიშნად სულხან-საბა ბგერათა ამგვარი დაჯგუფების დროს ლექსიკონიდან არ ჩანს.

ენა განმარტებულია, როგორც „საუბრის ასო“, ხოლო საუბარი – როგორც სალაპარაკო, ლაპარაკი (ორბელიანი 1949: 108).

სულხან-საბა ამ ტერმინით აღნიშნავს ენასაც. (მაგ. „მე ქართულისაგან კიდე სხვა ენა არ ვიცოდი“), სიტყვასაც (მაგ. „ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა“), „ბოლოდ მოვლენ და განჰყოფენ ენათა მიმოდრეკათა“ (ორბელიანი 1949: 11).

სხვადასხვაგვარი ენის აღსანიშნავად და დასახასიათებლად სულხან-საბას გამოყენებული აქვს ტერმინები: ა) მსოფლიო ენა; ბ) გლეხური ენა; გ) წერილისა ენა; დ) სამღვდელო ენა (ორბელიანი 1949: 10-11).

„სამღვდელო ენაში“ სულხან-საბა გულისხმობდა ძველ ენას, ხოლო „მსოფლიო ენაში“ – თავის თანამედროვე, ახალ ენას.

ჩვენი აზრით, სულხან-საბა ორბელიანი ტერმინებით: „წერილის ენა“, „სამღვდელო ენა“ უნდა აღნიშნავდეს მწიგნობრულ, სალიტერატურო ენას (საეკლესიო თუ საეროს), ხოლო ტერმინებით „მსოფლიო ენა“, „გლეხური ენა“ – ცოცხალ, ზეპირსამეტყველო ხალხურ ენას.

სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ უძვირფასესი განძია ქართულ ლექსიკოგრაფიაში. იგი ქართული ხალხის საამაყო წიგნია და „ვიდრე ქართველი ხალხი და მისი ენა არსებობს ამ მიწის პირზე, საბა ორბელიანი შერაცხული იქნება, როგორც დვაწლმოსილი და მხცითმოსილი მამა სამშობლოსა“ – წერს კ. გამსახურდია (გამსახურდია 1963: 152). აკად. ა. შანიძე კი ასეთ შეფასებას აძლევს საბას ლექსიკონს: „სულხან-საბა ორბელიანის მრავალმხრივი და მეტად ნაყოფიერი მოღვაწეობიდან ყველაზე უფრო შესანიშნავია მის მიერ შედგენილი „ქართული ლექსიკონი“, რომელიც დიდი ღირსებისა და უღრმესი მნიშვნელობისა არის როგორც მეცნიერული თვალსაზრისით, ისე პრაქტიკული მიზნებისათვის“ (შანიძე 1978), რის გამოც ლექსიკონის დანიშნულება უცვლელი რჩება საუკუნეების განმავლობაში, რასაც არაერთი თანამედროვე გამოკვლევა ადასტურებს (სირაძე 2012, ბოლქვაძე 2009). სწორედ ამიტომ წიგნს ღირებულება

და აქტუალურობა დღემდე არ დაუკარგავს, რაც „სიტყვის კონას“ არამხოლოდ ქართული ლექსიკოგრაფიის მნიშვნელოვან ძეგლად აქცევს, არამედ განსაკუთრებულ ადგილს უმკვიდრებს ქართული კულტურის ისტორიაში.

### ლიტერატურა

ბოლქვაძე, თინათინ. 2009. სულხან-საბას ლექსიკონის სემიოზისი, *სულხან-საბა ორბელიანი - 350*, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2009, 94-115.

გამსახურდია, კონსტანტინე. 1963. *IN MEMORIAM SABA ORBELIANI*, რჩეული თხზულებანი, ტომი VI, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ორბელიანი, სულხან-საბა. 1949. „სიტყვის კონა“, თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა.

სირაძე, რეზო. 2012. სახისმეტყველებითი განმარტებანი სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“, *გაზ. ახალი განათლება*, ელ.რესურსი: [http://axaliganatleba.ge/index.php?module=multi&page=detals&multi\\_id=2&id=155](http://axaliganatleba.ge/index.php?module=multi&page=detals&multi_id=2&id=155). ატვირთვის თარიღი 2012-10-25, წვდომის თარიღი 2021-06-29.

კეკელიძე, კორნელი. 1966. *სულხან-საბა ორბელიანი*, წიგნში *ქართული ლიტერატურის ისტორია 6 ტომად*, ტ. II, თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტი.

შანიძე, აკაკი. 1980. *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, თხზულებანი 12 ტომად, ტ.3. თბილისი.

ჩიქობავა, არნოლდ. 1950. *ახალი სალიტერატურო ენის წარმოქმნისათვის*, წიგნში *ქართული ენის განმარტების ლექსიკონი*, ტ. I, თბილისი: „მეცნიერება“.

ჩიქობავა, არნოლდ. 1979. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი*, თბილისი: თსუ გამომცემლობა.

## Language and Linguistics

### "The Georgian Dictionary", or "Sitkvis Kona" (A Bundle of Words) - the Most Important Monument of Georgian Lexicography

**Leila Abzianidze**

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

leila.abzianidze@atsu.edu.ge

*The article analyzes the most important monument of the literary heritage of a famous Georgian writer and public figure Sulkhan-Saba Orbeliani – "The Georgian Dictionary". It also presents the principles of compiling a dictionary, its peculiarities and other specific issues. The focus is on the aspects that keep it relevant even today and not only make it an important monument of Georgian lexicography, but also attach special significance to it in the history of Georgian culture.*

**Keywords:** lexicography, dictionary, grammar, linguistics, the Georgian language.

Sulkhan-Saba Orbeliani was a well-trained and erudite person for his time, a broadly and highly educated public and state figure. He belonged to the strongest and highest circle of the Georgian aristocracy on both sides of his parents. Sulkhani's father Vakhtang Kaplani Orbelishvili (Orbeliani) was a senior judge of the Kingdom of Kartli, a close relative of the kings of Kartli, while his mother Tamari was the daughter of Zaali – a duke of Aragvi.

The literary heritage of the famous Georgian writer Sulkhan-Saba Orbeliani is rich and diverse. He wrote "Travel to Europe" (memoirs), one of the most brilliant masterpieces of Georgian fiction – "A Book of Wisdom of Lies", that was written by Saba in 1698, a new edition of "Kilila and Damana" translated from Persian by Vakhtang VI, an invaluable treasure of the Georgian language – "The Georgian Dictionary" ("Sitkvis Kona" (A Bundle of Words)), and the works of ecclesiastical theological content – "Teachings" and "The Gate of Paradise". His works occupy a special place in the history of the development of the Georgian literary language in which Sulkhan-Saba sharply expressed his attitude towards the literary language.

"The Georgian Dictionary" along with his other works is an important treasure, which was bequeathed to us by a great statesman and writer. Sulkhan-Saba devoted a great deal of time to purely literary and linguistic philological work in addition to the state activities. He wrote both secular and theological works, as well as scientific ones. He is believed to be a highly educated encyclopedist at the turn of the XVII-XVIII centuries.

"The Georgian Dictionary" by Sulkhani-Saba Orbeliani is the result of a long and thorough scientific research. "I, Sulkhani-Saba Orbeliani," \_ the author informs us \_ , "worked a lot on this book in my youth and adolescence." Acad V. Topuria notes that "he worked for 39 years to compile the dictionary, he started working on it at the age of 27-28 (in 1658) and continued until his death (1725). The dictionary was his inseparable companion. It accompanied him while travelling throughout Georgia, Iran, Europe (France, Italy) and Turkey. It was improving everywhere and in all the circumstances".

The centuries-old cultural traditions of our nation, the highest level of the development of the artistic and scientific philosophical literature make us logically think that the Georgians should have had their dictionary much earlier than Sulkhani-Saba Orbeliani compiled it. According to Saba himself, "the dictionary of the Georgian languages could no longer be found due to the passage of time" (Sulkhani-Saba Orbeliani, "The Georgian Dictionary", Tb., 1949:10).

"The Georgian Dictionary" is a very important work. As can be seen from the title, this work is an explanation of Georgian words (or foreign words established in the Georgian reality) in Georgian. Orbeliani's dictionary is one of the most complete dictionaries which is still used by every cultured Georgian. It contains more than 20 thousand words. The explanation of a word is often attested by the corresponding passage from various famous works, in particular the passages from the Old and New Testaments are quoted.

When compiling the dictionary Saba used foreign language dictionaries a lot, compared them to each other and only after that created "The Georgian Dictionary".

"The Georgian Dictionary" occupies one of the most important places in the scientific-literary heritage of Sulkhani-Saba Orbeliani. Contemporaries remember "Sitkvis Kona" with great applause and praise.

The invaluable importance of this dictionary has been emphasized and indicated many times in the scientific literature, both in Georgian lexicography and in the history of Georgian science and culture in general.

The dictionary indicates how similar words can be distinguished from each other. The dictionary author also requires the correct use of the words.

Some grammatical terms are also included in "the Georgian Dictionary" for the purpose of studying and preserving the Georgian language.

"The Georgian Dictionary" by Sulkhani-Saba Orbeliani is essentially an explanatory dictionary, but the author added elements of an encyclopedic dictionary to it as well.

The dictionary explains many terms from various fields of science, including grammar.

In the special literature, the opinion is expressed that the history of Georgian grammatical research of the Renaissance period begins with Saba's dictionary.

Grammatical terms are taken from the introductory part of the dictionary or sometimes from the words defined in the dictionary/ From their explanations it should be noted that, the essence of some terms goes beyond grammar from today's point of view, but if we take into account how field of linguistics was interpreted during the time period of Saba, we believe it should not create any substantial inconvenience.

The terms under consideration are listed in alphabetical order below (with some exceptions).

To denote and characterize different languages, Sulkhani-Saba uses the following terms: a) a world language; b) a peasant language; c) a language of correspondence; d) a clerical language.

In the "a clerical language" Sulkhani-Saba meant the old language, and in "a world language" - his contemporary, new language.

In our opinion, by using the terms "a language of correspondence" and "a clerical language" Sulkhani-Saba Orbeliani should refer to the literary language (ecclesiastical or secular), and the terms "a world language", "a peasant language" denote a living, oral folk language.

"The Georgian Dictionary" by Sulkhani-Saba Orbeliani is a valuable treasure in Georgian lexicography. It is a book the Georgian people are proud of and "as long as the Georgian people and their language exist on the Earth, Saba Orbeliani will be honored as a meritorious and brilliant father of his homeland," \_ K. Gamsakhurdia writes.

Acad. A. Shanidze gives such an assessment to Saba's dictionary: "The most remarkable piece from Sulkhani-Saba Orbeliani's multifaceted and highly fruitful works is "The Georgian Dictionary" compiled by him, which is of great importance both from a scientific point of view and for practical use", which is why the purpose of the dictionary has remained unchanged for centuries. Therefore, the book has not lost its value and relevance to this day, which not only makes "The Georgian Dictionary" an important monument of Georgian lexicography, but also enables it to occupy a special place in the history of Georgian culture.